გუშინ მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადა, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს ეძღვნება

VI СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР 1975

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 93 (5383)
11 მაისი, კვირა.
1975 წ.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის მონაწილეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებათა მონაწილეებს, ყველა საბჭოთა ფიზკულტურელსა და სპორტსმენს, ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაკს და უსურვებენ მათ ახალ წარმატებებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისთვის მუშაობის შემდგომ სრულყოფასა და ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცებაში.

საბჭოთა კავშირში ფიზიკური კულტურა მშრომელთა ფიზიკური და სულიერი განვითარების სერიოზული ფაქტორია. სკკპ XXIV ყრილობის მითითებათა შესაბამისად გაფართოვდა ფიზკულტურული მოძრაობის მატერიალური ბაზა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობა.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა — ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მიღწევათა ნამდვილი დათვალიერებაა. იგი ეძღვნება 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს და მიმდინარეობს დევიზით „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“. სპარტაკიადა გახდა საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხის სპორტული ნიჭის აყვავების მკაფიო დადასტურება. შეჯიბრებაში უკვე მონაწილეობა მიიღო 80 მილიონამდე ფიზკულტურელმა და სპორტსმენმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ საბჭოთა ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების მრავალმილიონიანი რაზმი კვლავაც იქნება კომუნისტური მშენებლობის მოწინავე მიჯნებზე. ფიზიკური კულტურა და სპორტი უფრო აქტიურად უნდა დამკვიდრდეს მოსახლეობის, განსაკუთრებით ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხელს უწყობდეს საბჭოთა ადამიანებისთვის შრომისმოყვარეობისა და მიზანსწრაფვის ჩანერგვას, ნებისყოფისა და მამაცობის გამოწრთობას, რათა ყოველ წუთს მზად იყვნენ ჩვენი დიადი სოციალისტური სახელმწიფოს დასაცავად.

ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო, დაუცხრომლად აიმაღლეთ სპორტული ოსტატობა, მოიპოვეთ ახალი გამარჯვებები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, ოლიმპიურ ასპარეზობებში, მაღლა ატარეთ საბჭოთა სპორტის დროშა!

დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

დაე მტკიცდებოდეს და აყვავდეს ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მედლების უხვი მოსავალი

ლიონი, 9 მაისი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპის ძიუდოისტთა ჩემპიონატმა. ბრწყინვალედ იასპარეზეს საბჭოთა ათლეტებმა, რომლებმაც შეჯიბრების პირველ დღეს 1 ოქროს, 2 ვერცხლის და ამდენიმე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

მძიმე წონაში კონტინენტის ჩემპიონის წოდება პირველად მოიხვეჭა თბილისელმა მოჭიდავემ, 29 წლის ჯ. ნიჟარაძემ, რომელმაც ფინალში კიეველ ს. ნოვიკოვს აჯობა. ნოვიკოვს ვერცხლის ჯილდო ხვდა. ასეთივე ხარისხის მედალი გადაეცა თბილისელ დებიუტანტს, 22 წლის ა. ბარკალაევს (საშუალო წონა), რომელმაც გადამწყვეტი შერკინება წააგო გამოცდილ პოლონელ ძიუდოისტთან ა. რეიტერთან — მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორთან.

ამ წონაში საბჭოთა ნაკრების კიდევ ერთმა ახალბედამ — ელექტროსტალელმა (მოსკოვის ოლქი) ს. ვოლოსოვმა ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ქვემძიმე წონაში ბრინჯაოს პრიზი მოიპოვა თბილისელმა ათლეტმა, 24 წლის რ. ხარშილაძემ. ამ წონით კატეგორიაში ჩემპიონი პირველად გახდა დ. ლორენცი (გდრ).

მეორე დღეს საბჭოთა მოჭიდავეებმა ახალ შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს. მსუბუქ წონაში თბილისელმა შ. ფიცხელაურმა ვერცხლის მედალი მოიგო.

ქვესაშუალო წონაში ევროპის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა მაიკოპელმა გ. ნევზოროვმა.

აბსოლუტური პირველობის ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ქართველი ფალავნები გ. ონაშვილი და ოლიმპიური ჩემპიონი შ. ჩოჩიშვილი. გაიმარჯვა ონაშვილმა. ვერცხლის ჯილდო ჩოჩიშვილს ხვდა.

• • •

სურათებზე: ევროპის ჩემპიონები ჯ. ნიჟარაძე (მარცხნივ) და გ. ონაშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

[illegible] [illegible] შედეგები

სატრეკო ველოსპორტი. საქართველოს VI სპარტაკიადა. 8-10 მაისი. თბილისის ცენტრალური ველოსტადიონი.

ინდივიდუალური რბოლა გამოდევნებით 4 კმ-ზე. 1. ვ. ივანოვი (თბილისი) — 5.08,8, 2. ნ. პანკრატოვი (პირადი, თბილისი) — 5.13,0, 3. პ. სტეცენკო — 5.15,2, 4. ვ. ფეტისოვი (ორივე — თბილისი) — 5.16,1.

სპრინტი. 1. ნ. ივანოვი, 2. გ. ვოლკოვი (ორივე — თბილისი), 3. გ. ოვსეპიანი (ქუთაისი).

1000 მ. გიტი. 1. ი. ვოლკოვი — 1.10,9, 2. გ. ვოლკოვი — 1.11,9, 3. ი. კასრელიშვილი (ყველა — თბილისი) — 1.12,35.

გუნდური რბოლა. 1. თბილისი (ვ. ივანოვი, ვ. ფეტისოვი, ი. ვოლკოვი, ნ. პანკრატოვი) — 4.40,6. 2. თბილისი II (უკონკურსოდ) — 4.47,25, 3. ქუთაისი — 4.51,7.

ჯგუფური რბოლა 75 წრეზე (15 საშუალედო ფინიშით). 1. ვ. ფეტისოვი — 33 ქულა (1 წრე დისტანციური უპირატესობა), 2. ი. შარმაზანოვი — 14 (1 წრე დისტანციური უპირატესობა, პირადი), 3. პანკრატოვი — 33, 4. პ. სტეცენკო — 24 (პირადი), 5. ა. ცხოვრებაძე (პირადი, ყველა — თბილისი) — 17, 6. ა. ჩკალოვი (აფხაზეთი) — 12.

გუნდური ჩათვლა. 1. თბილისი — 73 ქულა, 2. ქუთაისი — 27, 3. აფხაზეთი — 6, 4. რუსთავი — 3.

VI სპარტაკიადა

ბერზინგის სასროლეთზე

აშხაბადი, 9 მაისი (ტელეფონით). ფაშისტურ გერმანიასთან ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავის ზეიმის დღეს თურქმენეთის დედაქალაქის „სტროიტელის“ ცენტრალურ სტადიონზე მოეწყო საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მშვილდოსანთა ასპარეზობის საზეიმო გახსნა. ტრანსპარანტებით, ლოზუნგებით, სპორტული ალმებით მორთულ სტადიონზე, სადაც დიდძალმა მაყურებელმა მოიყარა თავი, შეჯიბრების ალამი აღმართეს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ჩემპიონებმა, რომელთა შორის თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, წინა სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი ლ. ასატუროვა-სორდია იყო.

შეჯიბრება კი ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ დაბა ბერზინგში სპეციალურად აგებულ სასროლეთზე მიმდინარეობს. ამინდი ცუდი იყო: ქარმა, რომელიც მიმართულებას ძალიან ხშირად იცვლიდა, მონაწილეთა მაჩვენებლებზე ძალიან იმოქმედა.

ცეცხლის ხაზზე გამოვიდა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდების 130-ზე მეტი სპორტსმენი (თითოეულ ნაკრებში 8 მშვილდოსანია, — 4 ვაჟი და ამდენივე ქალი. ჩათვლაში 3-3 საუკეთესო შედეგი შედის). დღეს ქალები 70 და 60, ხოლო ვაჟები 90 და 70 მეტრზე ისროდნენ, ხვალ „მ-1“ ვარჯიშს დაამთავრებენ, შემდეგ ორ დღეს კი ამ ვარჯიშს გაიმეორებენ, „მ-2“ ვარჯიშს შეაჯამებენ, რის შემდეგაც საბოლოოდ განაწილდება გუნდური და პირადი ადგილები.

საქართველოს ვაჟთა კოლექტივის ღირსებას იცავენ თბილისელი სპორტის ოსტატები — საქართველოს ჩემპიონი ა მეჟვეიძე, გ. არჩვაძე, ვ. ტროპინი და ვ. ლეკვეიშვილი (მწვრთნელი გ. დავითაშვილი). დღევანდელი პროგრამის შემდეგ ისინი გუნდურ ჩათვლაში X ადგილზე არიან. თანაგუნდელთაგან საუკეთესო იყო ტროპინი — 574 ქულა.

ქალთა გუნდში გამოდიან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები — ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ქ. ლოსაბერიძე, ლ. ასატუროვა-სორდია (ორივე — თბილისი), გ. რიჟამაძე და სპორტის ოსტატი გ. ზუხაიძე (ორივე — ქუთაისი), რომლებსაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შ. ჯაშიაშვილი ავარჯიშებს.

საქართველოს ქალებმა ასპარეზობა ცუდად დაიწყეს — ჯერჯერობით VIII ადგილზე არიან. მაგრამ მწვრთნელები ვარაუდობენ, რომ მდგომარეობა გამოსწორდება. ჩვენს კოლექტივს უსწრებენ უკრაინის, მოლდავეთის, ლენინგრადის, მოსკოვის, რსფსრ-ს, ესტონეთისა და ტაჯიკეთის გუნდები. ქულებში ძალიან მცირე სხვაობაა.

საქართველოს გუნდის ლიდერმა ლოსაბერიძემ 70 მეტრზე სროლაში 299 ქულა მოაგროვა და... XVIII ადგილზე გავიდა. მეორე დისტანციაზე მან (60 მ) III ადგილი დაიკავა და დღის ბოლოსთვის 597 ქულით საერთო X ადგილზე გადაინაცვლა.

პირველი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ქალთა შორის, როგორც აღვნიშნეთ, უკრაინის კოლექტივი დაწინაურდა. ვაჟთა შორის რსფსრ-ს მშვილდოსნები ლიდერობენ. პირად ტურნირში წინ არიან: ქალებში — ვ. კოვპანი (უკრაინა), ვაჟებში — მ. ვაიკიარვი (ესტონეთი).

მეტი პასუხისმგებლობა!

სოხუმში კარგა ხანია დამთავრდა ასუჯრიან შაშში საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. უძლიერესის სახელი თბილისელმა გ. მინასიანმა მოიპოვა. II-IV ადგილები გაიყვეს გ. ამირხანოვმა (თბილისი), გ. ბარამიძემ და ვ. ივაშჩენკომ (ორივე — სოხუმი). სსრ კავშირის თასისთვის თამაშის უფლება სამმა პრიზიორმა მიიღო.

სამწუხაროდ, ჩემპიონატს რამდენიმე სერიოზული ხარვეზი ჰქონდა, რაც მისი ორგანიზატორების უპასუხისმგებლობაზე მიუთითებს. 22-კაციან ტურნირში შვეიცარიული სისტემა (ისიც 9 ტური) ყოვლად მიუღებელია. ეს ბრძოლას ძალიან ართულებს და მსაჯთა კოლეგიას შეცდომებისკენ უბიძგებს. თვით მთავარი მსაჯი გ. ვინიკი (თბილისი) ბევრს სცოდავდა. ხშირად წილისყრა მონაწილეების დაუსწრებლად ტარდებოდა. დასკვნითს ტურში მსაჯმა რატომღაც სოხუმის წარმომადგენლებს თამაში დაგვიანებით დააწყებინა. მაყურებლებს თამაშს არ ასწრებდა.

ყოველივე ამან ვინიკის მოადგილე, სოხუმელი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. არუთინოვიც კი ისე აღაშფოთა, რომ მან პოსტი დემონსტრაციულად მიატოვა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შაშის პოპულარობას მხოლოდ ხელს უშლის.

შეჯიბრების მესვეურთა საქმეში უმართებულოდ ერეოდა თბილისელი ოსტატი ს. თომაშვილი. სწორედ მისი წაქეზებით არ დაუშვეს სათამაშოდ ქუთაისის, გარდაბნისა და მახარაძის წარმომადგენლები, მაშინ, როცა ცხინვალს დამატებითი ადგილი მიეცა.

თბილისის შაშის ფედერაციის პრეზიდიუმმა ამას წინათ განიხილა სოხუმში გამართული შეჯიბრების შედეგები. მან მოითხოვა გ. ვინიკს აეკრძალოს რესპუბლიკური შეჯიბრებების მსაჯობა. პრეზიდიუმმა დაგმო ს. თომაშვილის თვითნებობა და შაშის რესპუბლიკურ ფედერაციას სთხოვა იმსჯელოს მისი საქციელის შესახებ.

თ. ბარამიძე,
თბილისის შაშის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი.

12 მაისს

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, გაიმართება საქართველოს შაშის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო პლენუმი,

დასაწყისი 16 ს.

საქართველოს პროფსაბჭოში

დასახეს წინსვლის გზები

საქართველოს პროფსაბჭომ ბოლო წლებში ერთგვარი ღონისძიებანი დასახა ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებსა და მათს კოლექტივებში სპორტის ზამთრის სახეობების განვითარებისთვის, შარშან კი პროფკავშირთა ზამთრის VIII საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადებაში ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. ამან სათანადო შედეგიც მოიტანა: მუშაობა გაუმჯობესდა „სპარტაკსა“ და „განთიადში“, ერთგვარი წინსვლა იგრძნობა „ბურევესტნიკსა“ და „კოლმეურნეში“, „ლოკომოტივში“ კი ამ მხრივ ჯერჯერობით არაფერი კეთდება.

ზამთრის სახეობების განვითარებაში მომხდარმა ძვრებმა ასახვა ჰპოვა საქართველოს და სსრ კავშირის პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადებში. რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელსაც წინ უძღოდა „კოლმეურნის“, „სპარტაკის“, „განთიადისა“ და „ბურევესტნიკის“ საბჭოების პირველობები, წესიერად ჩატარდა. მან ხელი შეუწყო არა მარტო პროფკავშირულ-ფიზკულტურულ ორგანიზაციებში სათხილამურო და საციგაო სპორტის, ფიგურული ციგურაობის ალმავლობას, არამედ ნაკრების დაკომპლექტებასა და წინა სპარტაკიადასთან შედარებით პროფკავშირთა ზამთრის VIII საკავშირო სპარტაკიადაში გაცილებით უკეთ გამოსვლას.

ამას წინათ საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საკითხი საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის IV სპარტაკიადასა და საკავშირო VIII სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრების მონაწილეობის, მის მიერ მოპოვებული შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ ტერსკოლში, სვერდლოვსკსა და ბრატსკში გამართულ საკავშირო ტურნირებში საქართველოს სამთომოთხილამურენი, „მფრინავი მოხილამურეები“, მორბენლები, ფიგურული ციგურაობის ოსტატები და მოციგავეები მონაწილეობდნენ. ჩვენმა რესპუბლიკამ ვერ შეძლო ორჭიდელეზისა და ბიატლონისტების გუნდების გამოყვანა, ვინაიდან ეს სახეობები სპორტსაზოგადოებებში თითქმის არ არის დანერგილი.

პრეზიდიუმზე აღინიშნა: საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს გუნდების გამოსვლის ანალიზი ადასტურებს, რომ რესპუბლიკის პროფკავშირელი სპორტსმენების მაჩვენებლები ამაღლდა. თუ, მაგალითად, პროფკავშირთა VII საკავშირო სპარტაკიადაში (1971 წ.) საქართველოს დელეგაციამ რესპუბლიკებს შორის VII ადგილი დაიკავა (სულ 38 ქულა მოაგროვა), წლეულს ჩვენმა სპორტსმენებმა 207 ქულა მოიპოვეს და საფეხურით მაღლა აიწიეს. თუ წინა სპარტაკიადაში არც ერთი მედალი არ მოგვიპოვებია, ახლა მ. ცერცვაძემ ფიგურულ ციგურაობაში ბრინჯაოს მედალი მიიღო, ლ. გაბელაიამ კი IV ადგილი დაიკავა, კ. და ვ. ქუმარიტაშვილები ორადგილიანი ციგით იუნიორთა შეჯიბრებაში III ადგილზე გავიდნენ.

განსაკუთრებით საგრძნობი იყო ფიგურისტების წინსვლა. VII საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს გუნდმა მხოლოდ 3 ქულა მოაგროვა, ამჯერად კი — 117.

მოციგავეებმა 1971 წელს მოპოვებული 7 ქულის ნაცვლად ახლა 41 ქულა მიიღეს, ტრამპლინიდან მხტომელებმა კი — 6-ის მაგიერ 26. ამასთან, საკავშირო სპარტაკიადების ისტორიაში ჩვენმა მრბოლელებმა წლეულს პირველი ქულები მოიპოვეს.

როგორი იყო სპორტსაზოგადოებების ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოების სპორტსმენთა წვლილი? „განთიადის“ ფიგურისტებმა 117 ქულა მოაგროვეს, „სპარტაკის“ მოთხილამურეებმა — 84, „კოლმეურნის“ სპორტსმენებმა — მხოლოდ 6, „ბურევესტნიკმა“ საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრებს ვერაფერი არგო.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმზე აღინიშნა, რომ „კოლმეურნესა“ და „ბურევესტნიკში“ ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იყენებენ სპორტის ზამთრის სახეობების განვითარებისთვის არსებულ პირობებს. ამ საზოგადოებებში ძალიან დაბალ დონეზეა სასწავლო-სპორტული მუშაობა, „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭო კი ამ მხრივ საერთოდ არაფერს აკეთებს.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის IV სპარტაკიადის შედეგები, ხოლო საკავშირო სპარტაკიადაში რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის გამოსვლა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია. განსაკუთრებით აღინიშნა გუნდების მომზადებაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოზარდთა ფიგურული ციგურაობის სპორტსკოლისა და რესპუბლიკური უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დახმარება.

პრეზიდიუმმა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა „კოლმეურნის“, „ბურევესტნიკისა“ და „ლოკომოტივის“ საბჭოების მუშაობა, ამასთან, სპორტსაზოგადოებების საბჭოების ხელმძღვანელებს დაავალა ღონისძიებათა დასახვა სპორტის ზამთრის სახეობებში საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. „კოლმეურნის“ ცენტრალურ საბჭოს დაევალა იზრუნოს ზამთრის სახეობების განვითარებისთვის რესპუბლიკის თოვლიან რაიონებში, განსაკუთრებით მესტიის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ახალქალაქის, ყაზბეგის რაიონებში, უზრუნველყოს ისინი სპორტინვენტარით და ფორმით, დასახოს ღონისძიება ბიატლონისა და ორჭიდის განვითარებისთვის.

პრეზიდიუმმა საკავშირო სპარტაკიადაში „ბურევესტნიკის“ სპორტსმენების უხეირო გამოსვლისთვის ამ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ასათიანს მიუთითა და დაავალა ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და პრეზიდიუმზე განიხილოს ღონისძიება რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სპორტის ზამთრის სახეობების განვითარებისთვის.

იზრდებიან მომავალი ოსტატები



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თბილისის ბავშვთა სპორტული სკოლის V-X კლასების ასამდე მოსწავლე გატაცებით მეცადინეობს ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობის სექციაში.

თავიანთი მოწაფეების დაოსტატებას დიდ ყურადღებას აქცევენ მწვრთნელები, ამ სკოლის აღზრდილი, სპორტის ოსტატი ა. იუდანოვა, ნ. გელოვანი, გ. სილაგაძე.

სკოლის აღზრდილთა შორის ბევრი ნიჭიერი სპორტსმენია. მაგალითად, რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ სპორტის ოსტატები ნ. ცხვედაძე, ი. კარაბეინიკოვი, ზ. ცხოვრებოვი. საქართველოს ჩემპიონის ტიტული აქვს მოპოვებული თბილისის 81-ე სკოლის კურსდამთავრებულს, პირველთანრიგოსან ი. ქიაბრიშვილს.

წარმატება დიდი შრომისმოყვარეობისა და ინტენსიური წვრთნის შედეგია. გაზაფხულის ამ დღეებში მტკვარზე ხშირად დაინახავთ, როგორ ვარჯიშობენ ბაიდარებითა და კანოეებით თბილისის სპორტული სკოლის მოსწავლეები.

ფ. კრიმსკის ტექსტი და ფოტოები. (საქინფორმი).

შეჯიბრებით [illegible]

დრო კიდევ არის

ჩვენ ვიტყობინებოდით, რომ სოხუმის მახლობლად, ეშერის „დინამოს“ სასროლეთზე გაიმართა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების საკავშირო შეჯიბრება ტყვიის სროლაში. „ლელო“ რამდენიმე საკავშირო რეკორდის გაუმჯობესების შესახებაც წერდა. ასპარეზობის შემდეგ სოხუმიდან დაბრუნებულმა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა გ. ბოსტოღანაშვილმა ყველა შედეგი, პრიზიორებისა და ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების მაჩვენებლები დაწვრილებით გაგვაცნო.

შეჯიბრება ოლიმპიურ ვარჯიშებში მიმდინარეობდა. ეს ის ვარჯიშებია, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამაში შედის. ამიტომაც ასპარეზობა საყოველთაო ინტერესს იწვევდა. მსროლელებმა ეშერაში სულ 9 სარეკორდო მაჩვენებელი მოიპოვეს. ზოგი მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგიცაა. ეს შეჯიბრება ჩვეულებრივისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მონაწილეთა ფიზიკური მზადყოფნის შემოწმების მიზნით სპორტსმენები ვარჯიშებს ორ-სამჯერ ასრულებდნენ. მაგალითად, მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა 60 გასროლაში გამარჯვებულები ამ ვარჯიშის ორჯერ შესრულების შემდეგ გამოვლინდნენ, „გაქცეულ ტახზე“ „ნადირობა“ კი სამჯერ მოეწყო. ასევე იყო შავ სამიზნეებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში...

შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების 10 სპორტსმენიც მონაწილეობდა. ისინი თავიანთი სპორტსაზოგადოებების ინტერესებს იცავდნენ. ვნახოთ, როგორ გამოვიდნენ ეს სპორტსმენები, რა შედეგები მოიპოვეს, როგორ მომზადებულან სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის.

ყველაზე კარგად იასპარეზა სოხუმელმა სპორტის ოსტატმა მ. პაპავამ. შავ სამიზნეებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის 60 გასროლაში პირველ დღეს მან 573 ქულა მოაგროვა, სსრ კავშირის რეკორდი გაიმეორა, საქართველოს რეკორდი დაამყარა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. იგი ასპარეზობის ლიდერი გახდა, მაგრამ ამ ვარჯიშის მეორედ შესრულებისას 561 ქულას დასჯერდა. მისმა უახლოესმა მეტოქემ რაენკომ (შეიარაღებული ძალები I) კი 565 ქულა აჩვენა და 2 ქულით დაწინაურდა. წინ მორიგი ბრძოლა იყო. სპორტსმენები ამ ვარჯიშს სამჯერ ასრულებდნენ და მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებოდა. ბრძოლა უაღრესად დაძაბული გამოდგა. პაპავამაც და რაენკომაც ერთნაირი შედეგი (567 ქულა) აჩვენეს. [illegible] საბოლოოდ გამარჯვება [illegible] მენს დარჩა — 1703 ქულა. პაპავა II ადგილზე გავიდა — 1701. III ადგილი წილად ხვდა რასკაზოვს (ორივე — „დინამო“) — 1690.

ამრიგად, პაპავამ პირველ რეპეტიციაზე თავისი როლი კარგად შეასრულა. ათიოდე დღის შემდეგ აქვე დიდი საერთაშორისო ტურნირი მოეწყობა, მერე კი საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ჩატარდება, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ძალების საბოლოო დათვალიერება იქნება. ვნახოთ, რას მოგვიტანს ეს შეჯიბრებები.

საქართველოს რეკორდსმენი ვ. სალუქვაძე (ასკ) მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში პირველ დღეს აშკარად თავის შესაძლებლობებზე სუსტად გამოვიდა (549), მეორე დღეს სპორტის ოსტატის ნორმას შეეწვდა (552), მესამე დღეს კი 561 ქულა მოაგროვა. მართალია, მან პაპავასთან საბოლოოდ 39 ქულა წააგო, მაგრამ იმედია, დიდ სპარტაკიადამდე ჩვეულ სპორტულ ფორმაში შევა.

თბილისელ გ. თავდიდიშვილს „გაქცეულ ტახზე“ სროლაში პირველი დღის მერე მესამე შედეგი ჰქონდა — 569 (ეს მისი რესპუბლიკური რეკორდის გამეორებაა). ლიდერობდა ქელეზნიაკი („დინამო“ I) — 573. ი. ქუსიკაშვილმა (დოსააფი) 568 ქულა მოაგროვა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. მაგრამ შემდეგ დღეებში პირადი შედეგები თავდიდიშვილმაც გააუარესა (566 და 561) და ქუსიკაშვილმაც (549 და 554), რის გამოც საპრიზო სამეულში ვერც ერთი ვერ მოხვდა. ეს ვარჯიში მოიგო რუდნიცკიმ („დინამო“ I) — 1714 (567 + 571 + 576).

მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა 60 გასროლაში თბილისელებმა ვ. სკრინიკოვმა და ა. შამეკომ სპორტის ოსტატის ნორმატივის შესაბამისი შედეგები აჩვენეს. სკრინიკოვმა, რომელიც დოსააფის ნაკრებში გამოდიოდა, სსრ კავშირის რეკორდსმენის სახელიც მოიპოვა, როცა ლუშჩიკოვთან, მიტროფანოვთან და ბულგაკოვთან ერთად 2390 ქულა მოაგროვა. პირადად მან იმ დღეს 595 ქულა აჩვენა. პირველ დღეს კი — ქულით ნაკლები. შამეკომ ეს ვარჯიში მხოლოდ ერთხელ შეასრულა და 594 ქულა დააგროვა. პირადი პირველობა მოიგო დანილჩენკომ (შეიარაღებული ძალები I), რომელმაც ორი დღის ჯამში სულ 1198 ქულა დააგროვა (599 + 599).

სპორტის ოსტატობა დაამტკიცეს, აგრეთვე, თბილისელებმა ე. აბაჯიანმა და ა. მარუთიანმა სტანდარტზე (3×40) მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. აბაჯიანი პირველ დღეს გაცილებით ზუსტი აღმოჩნდა (1154 ქულა), მაგრამ ვარჯიშის მეორედ შესრულებისას 17 ქულით უარესი შედეგით დაკმაყოფილდა. რაც შეეხება მარუთიანს, მან ვარჯიში მარტო ერთხელ შეასრულა — 1152. სამაგიეროდ, მარუთიანმა ძალა სცადა ნებისმიერი შაშხანის სტანდარტზე (3×40) სროლაშიც და 1137 ქულა მოიპოვა. ეს მხოლოდ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმაა.

დაბოლოს, სილუეტებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში თბილისელმა მ. ჟამურაშვილმა ვარჯიშის სამჯერ შესრულებით სპორტის ოსტატის ნორმატივი მარტო ერთხელ მოიპოვა, როცა 586 ქულა მოაგროვა (სხვა შედეგები — 577 და 579). გამარჯვებული ალიოხინის („დინამო“ I) მაჩვენებლები კი ძალიან მაღალი და სტაბილური (593 + 594 + 593) გამოდგა.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ნაკრებში ყველაფერი რიგზე არ არის. მაგრამ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის სტარტამდე, რომელიც მინსკში შედგება, ჯერ კიდევ დიდი დროა და ნაკლის გამოსწორება შეიძლება.

ლ. გვასალია.

ალამი დაეშვა

ამ დღეებში საზეიმოდ დაიხურა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპარტაკიადა.

ფრენბურთსა და ჭადრაკში შეჯიბრებების დამთავრების შემდეგ, რომელთა შესახებაც ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, საინტერესო ბრძოლები გაიმართა მაგიდის ჩოგბურთსა და მძლეოსნობაში.

მაგიდის ჩოგბურთში I ადგილი დაიკავეს პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებმა. II ადგილზე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გუნდი გავიდა, ხოლო III — სომხური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კოლექტივი.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში, რომლის პროგრამაშიც შედიოდა 100 მეტრზე რბენა, სიმაღლეზე ხტომა და ბირთვის კვრა, მონაწილეობდნენ ინსტიტუტის როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდები.

სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტმა გ. ახვლედიანმა, ქალთა შორის კი — ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ტ. გრიგორიევამ. 100 მეტრზე ვაჟთა რბენაში საუკეთესო იყო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი მ. გოგებაშვილი, ქალთა შორის კი I ადგილზე გავიდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი ე. ტარდაშინსკაია. ბირთვის კვრაში გაიმარჯვეს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ვ. ბურნაძემ და ისტორიის ფაკულტეტის წარმომადგენელმა ლ. თიბილოვამ.

მძლეოსნობაში გუნდური საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: ფიზიკა-მათემატიკის, რუსული ენისა და ლიტერატურის, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება ფიზიკა-მათემატიკის სპორტსმენებს ხვდათ. II ადგილი დაიკავა რუსული ენისა და ლიტერატურის, ხოლო III — საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სპორტსმენებმა. 45-მდე სტუდენტმა მეორე და მესამე თანრიგების ნორმატივები შეასრულა.

სპარტაკიადის ალამი დაეშვა. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ვიმპელებით.

ვ. დანელია.

მადლობა პირველ მასწავლებელს

ჩვენი წერილის საპასუხოდ, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ლელოს“ 19 მარტის ნომერში სათაურით „ბადმინტონი ჩვენს სკოლაში“, გვესტუმრა თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი, საქართველოს ბადმინტონის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე გ. სამსონაძე. ჩვენი სკოლის ბადმინტონის წრის წევრებს იგი ოთხი დღის მანძილზე გვასწავლიდა სპორტის ამ სახეობის წესებსა და თამაშს, გვესაუბრა ბადმინტონის ისტორიასა და დღევანდელ მდგომარეობაზე.

გ. სამსონაძის მიერ ჩატარებულმა ვარჯიშებმა ბევრი რამ მოგვცა — შევისწავლეთ მთელი რიგი სწორი მოძრაობები, რაც მეტად საჭიროა ჩვენი შემდგომი დაოსტატებისთვის.

თქვენი გაზეთის საშუალებით, ბადმინტონის წრის წევრთა სახელით, გვსურს დიდი მადლობა გადავუხადოთ ჩვენს პირველ მასწავლებელს გ. სამსონაძეს იმ დიდი დახმარებისთვის, რომელიც მან გაგვიწია.

ბადმინტონის წრის წევრთა სახელით ც. გაგუნაშვილი, თელავის მე-8 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა ფიზიკური აღზრდა დიდი სპორტის საძირკველია

ჩვენი მიზანია ფიზიკურად და მორალურად ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა

დავფიქრებულვართ ამაზე?!

იყო დრო, სპორტული სანახაობებით ისე როდი ვიყავით განებივრებული, როგორც დღეს ვართ. მიუხედავად ამისა, ვერავინ უარყოფს, თითქოს ფიზკულტურასა და სპორტისთვის იმ ჭეშმარიტად ნეტარ დღეებში მაყურებლები, ანუ ქომაგები და გულშემატკივრები რაღაც უძრავ, ინერტულ მასას წარმოადგენდნენ. სპორტული გმირების ქველობა, სიმარჯვე და მოხერხებულობა ხალხზე მართლაც მაგიურად მოქმედებდა. სულ არ იყო საჭირო პროპაგანდა, ანდა მწვრთნელებისა და აღმზრდელების მენტორული შეგონებანი: მოზარდი თაობა, აღფრთოვანებული თავისი კერპების მაგალითით, დამოუკიდებლად, თუ გნებავთ, სტიქიურადაც კი ეძებდა და პოულობდა ასპარეზს: დიახ, თავის დროზე ჩვენს მოზარდს ერთობ კარგ სამსახურს უწევდა მწვანე მინდორზე, ხარბენ და ცისფერ ბილიკებზე ნანახი ასპარეზობანი. თბილისში და, საერთოდ, რესპუბლიკის ყველა კუთხეში იმპროვიზებულ თამაშებსა და მატჩებში იბადებოდნენ არაოფიციალური ჩემპიონები, რომელთა სახელები ჟურნალ-გაზეთებში არ გამოქვეყნებულა. და მაინც, თითქოს უჩინარი ტელეფონით მათი სახელები მთელმა ქალაქმა, ან რაიონმა იცოდა. ასეთია, საზოგადოდ, ფიზკულტურისა და სპორტის უაღრესად კეთილისმყოფელი გავლენა მოზარდის ცნობიერებაზე.

ეს შესავალი იმიტომ დამჭირდა, რომ უფრო თვალხილული გამეხადა დღევანდელი ვითარება. ამაოდ დაუწყებს თანამედროვე ყმაწვილი ტრიალ მინდვრებს ძებნას. ჩვენდა სასიხარულოდ, მათი ადგილი კარგა ხანია დაიკავა მრავალსართულიანმა შენობებმა და საცხოვრებელმა მასივებმა. დიახ, სასიხარულოდ. მაგრამ პროგრესი თურმე ზოგჯერ ყველაფერზე დადებითად როდი მოქმედებს. ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ჯანმრთელობის ისეთი უებარი წყარო, როგორიც ფიზკულტურა და სპორტია. არ ვიცი, გულმავიწყობის, უდარდელობის თუ შეუწყნარებელი გულგრილობის გამო, მაგრამ ფაქტია: მშენებლებმა საერთოდ გააქრეს სასიცოცხლო ოაზისები, ანუ სპორტული მოედნებისთვის განკუთვნილი ადგილები. მშენებლობა, ჩემი აზრით, ეს მარტო ტექნიკურ-არქიტექტურული აქტი არ არის. ეს გახლავთ კომპლექსური პრობლემა, სამწუხაროდ, ჯერაც დაუძლეველი და გადაუწყვეტი. მე მთვარიდან არ ჩამოვვარდნილვარ და კარგად მესმის, რომ სპორტული მოედნების მოწყობაზე ლაპარაკი ცოტა არ იყოს კომიკურად ჟღერს, როცა ბევრ ახალ საცხოვრებელ სახლს ნორმალური კარ-ფანჯრები, ჭერი და იატაკიც კი არ აქვს. და მაინც, მთელი პრინციპულობით უნდა განვაცხადოთ: **ჩვენს მოზარდ თაობას ეგრეთ წოდებული მარტივი ტიპის მოედნები ისევე სჭირდება, როგორც ჰაერი და მზე.** ძალზე გონებაშეზღუდული უნდა იყოს ადამიანი, ეს ჭეშმარიტება რომ ვერ შეიგნოს.

მერე, როცა ამ უსწორო პრაქტიკის შედეგებს ვხედავთ, გვიკვირს, რატომ არიან ჩვენი ბავშვები ფერდაკარგულნი, უხალისონი, რატომ ეხუჭებათ თვალები გაკვეთილების მომზადების დროს, რატომ აღარ იცინიან ბავშვური სიცილით... ისინი სწრაფად იღლებიან ქალაქში, ქუჩებში, სადაც მანქანა უფრო მეტია, ვიდრე ფეხით მოსიარულე, სადაც განუწყვეტელი გუგუნი და დგანდგარია. ამას დაუმატეთ ცხოვრების მძაფრი რიტმი, რომელიც აგერ, ჩვენს თვალწინ, შეუდარებლად ინტენსიური გახდა, თუნდაც ოცი წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით, სამეცნიერო ტექნიკური რევოლუცია, აურაცხელი ინფორმაცია, გაზრდილი საწარმოო დავალებანი, საქარხნო თუ საკოლმეურნეო შრომის ახლანდელი მასშტაბები, მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის კი სულ ახალი და ახალი დისციპლინები, და თქვენთვის ნათელი გახდება, რომ ოცი წლის წინანდელი ადამიანი ურბანიზაციის ეპოქაში აგრერიგად იოლად ვერ გაძლებს არა მარტო ინტელექტუალური, არამედ სპეციალური ფიზიკური წრთობის გარეშეც, თორემ გარემოს ცვალებადობა და ადამიანის პიროვნება, რომელიც მხარს ვერ აუბამს ცვლილებებს, ეგრეთ წოდებულ ატომურ ეპოქას, გარდაუვალ წინააღმდეგობას წარმოუქმნის და მერე არც ისე შორსაა იგი ინფარქტისგან, სხვა „მოდურ" დაავადებებზე რომ არაფერი ვთქვათ.

აი, რატომ ვლაპარაკობ ასეთი გამეტებით იმ ერთ „მიწის ნაგლეჯზე", რომელიც მოწოდებულია ადამიანის ფიზკულტურულ-სპორტული გაჯანსაღების წყაროდ იქცეს. აი, რატომ მგონია მიუტევებელი ჩვენი მშენებლების უგულისყურობა, როცა სპორტული მოედნის მოწყობა ახალაშენებულ სახლთან თავისებურ ლირიკულ გადახვევად და რატომღაც ერთგვარ ფუფუნებადაც მიაჩნიათ. მაგრამ ადამიანის ჯანმრთელობის გაკაჟებისა და დაცვის საქმე სრულიადაც არ არის ფუფუნება, ან ვინმეს ახირება. ეს, ბოლოს და ბოლოს, არის ჩვენი საბჭოური ცხოვრების, ჩვენი პარტიისა და მთავრობის უპირველესი მიზანი და საზრუნავი. და, ვიდრე ახალ სახლს სამშენებლო ორგანიზაციები მშრომელთა ოჯახებს გადასცემდნენ, კეთილი ინებონ და კონსულტაციისთვის მიმართონ კომპეტენტურ ფიზკულტურულ-სპორტულ ინსტანციებს. მაშინ აღარ იქნება აღმაშფოთებელი მდგომარეობა, როცა მშობლებს სხვადასხვა მიზეზის გამო ბავშვები შორს ვერ წაუყვანიათ რომელიმე სპორტულ სექციაში სავარჯიშოდ და, სამწუხაროდ, არც თავიანთ ეზო-ყურეში მოეძევებათ სპორტული მოედანი. ვინ იცის, რამდენი დავკარგეთ და წავაგეთ ამ დარგში, ვინ იცის, რამდენი მოზარდის ჯანმრთელობამ და სასიცოცხლო ტონუსმა იზარალა მშენებელთა „უწყინარი" შეცდომის გამო. ეს მტკივნეული საკითხია, რომელსაც ჩვენი საზოგადოებრიობა რატომღაც გულდამშვიდებით შეჰყურებს, ხოლო, როცა საზოგადოებრივი აზრი არ იქმნება ამა თუ იმ დაუძლეველი პრობლემის გარშემო, მაშინ საქმის წარმატებას საშველი არ დაადგება.

იქნებ ჩვენი საზოგადოებრიობის ერთი ნაწილის, მათ შორის, სკოლების ხელმძღვანელებისა და მშობლების მიზეზითაა გამოწვეული ისიც, რომ დღემდე სკოლებში ფიზკულტურა ბევრგან ერთობ არასერიოზულ დისციპლინადაა მიჩნეული. აბა, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რომელ ჩვენგანს გაგვიკიცხავს შვილი იმისთვის, რომ ფიზკულტურაში ცუდი ნიშანი ჰქონია, ან უგულისყუროდ მოჰკიდებია საკუთარი ჯანმრთელობის გაკაჟებას? პირიქით, ამაზე ბევრჯერ თვალი დაგვიხუჭავს და ბავშვისთვის გვიგრძნობინებია, ეგ არაფერი, შენ სხვა საგნებში არ წაიფორხილოო.

ეს, რაც მშობლებს შეეხება. განა სკოლის ხელმძღვანელებს, ანდა ფიზკულტურის მასწავლებლებს ნაკლებად მიუძღვით ბრალი ფიზკულტურისადმი ასეთ დამოკიდებულებაში? სრულიადაც არა. გაკვეთილები ტარდება არქაული წესით — მათ თამამად შეიძლება ვუწოდოთ სასკოლო ანაქრონიზმი. ასე ვარჯიშობდნენ ჩვენი მამა-პაპანი, ასევე ვარჯიშობდა ჩემი თაობაც, ასევე ვარჯიშობენ ჩვენი შვილებიც და, თუ საქმე ძველებურად წავიდა, ასევე ივარჯიშებენ ჩვენი შვილიშვილებიც. რა არის ასეთი კონსერვატიულობის მიზეზი?

გადაიკითხეთ უკანასკნელი წლების ქართული პრესა — პასუხს ამ კითხვაზე ვერა და ვერ მიიღებთ, მასზე არავინ წერს, თითქოს სანაღვლო და სადარდებელი ამ სფეროში არაფერი გვქონდეს. მაგრამ ლაპარაკია არა მეორე, ან მესამეხარისხოვან საგანზე, არამედ დისციპლინაზე, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს არა მარტო მოზარდი თაობის ჯანმრთელობის გაკაჟებას, არამედ მის უნარიან სწავლას, ხოლო მომავალში, როგორც იტყვიან, მკლავმოუღლელ შრომა-გარჯას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში.

აი, ახლახან გამოვიდა ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" ფიზკულტურულ-სპორტული დამატება „მართვეს" პირველი ნომერი. ჟურნალის ტირაჟია 15 ათასი ცალი. არ ვიცით, კიდევ არის თუ არა საგაზეთო ჯიხურებში იგი, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ბევრმა, ძალიან ბევრმა ფიზკულტურის მასწავლებელმა იგი არ გამოიწერა. თუმცა, ჟურნალი პირველ ყოვლისა მათთვისაა განკუთვნილი. ეს კიდევ არაფერი: ჟურნალის რედაქციაში, ერთი კაცი რა არის, მხედველობაში მყავს ფიზკულტურის მოღვაწენი, ისიც კი არ მოსულა, რომ თავისი მოსაზრებანი გაეზიარებინა, დაგვთანხმებოდა, ანდა კრიტიკული შენიშვნები გამოეთქვა. მე მაფიქრებს არა იმდენად ჟურნალის წარმატება-წარუმატებლობა, თუმცა არც ეს არის მეორეხარისხოვანი საკითხი, არამედ პირველ ყოვლისა ფიზკულტურის სამყაროს წარმომადგენელთა გულგრილობა იმ საქმისადმი, რომელსაც ავად თუ კარგად ერთად ვემსახურებით. თუ ფიზკულტურის მუშაკები არ დაგვეხმარნენ რჩევა-დარიგებით, წინადადებებით, საქმიანი შენიშვნებით, მაშინ ვინ ამოგვიდგება მხარში?

ჟურნალისა და მისი აქტივის საკითხს რთულ პრობლემად ნუ ჩავთვლით, ამ საქმეს მოევლება და მან, ცხადია, არ უნდა დაჩრდილოს ის კარდინალური საკითხები, რომლებზეც ზემოთ გავამახვილე ყურადღება და, ვიმეორებ, ყველასთვის კარგადაა ცნობილი, თუმცა საქმე მაინც არ იძვრის მკვდარი წერტილიდან.

ა. გოგელია,
„მართვეს" რედაქტორი.

რამდენიმე სტრიქონით

✦ კასპი

ჭადრაკის კლუბმა რაიონის საშუალო სკოლების მოჭადრაკეებისა და მოშაშეების გუნდურ პირველობას უმასპინძლა. მოჭადრაკეთა პაექრობაში, რომელშიც 16 კოლექტივი მონაწილეობდა, I ადგილი კასპის მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა დაიკავა. მოშაშეთა შეჯიბრებაში 18 საშუალო სკოლის წარმომადგენლები იბრძოდნენ. ჩემპიონის სახელი კასპის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდს ხვდა.

ლ. ელისაბედაშვილი.

მეგობართა პირველი შეხვედრა

მთა-გორაკების გულში ჩაკარგულა მთვლემარე ლისის ტბა. ირგვლივ ადრიანი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე არ წყდება ხალხის ჟრიამული. სპორტულ მოედნებზე ფრთიანი ბურთი დაზუზუნებს, ტბისკენ მიმავალ გზაზე კი ერთმანეთს ცვლიან აქტიური დასვენების მოყვარულთა ჯგუფები. ამას წინათ ერთ-ერთ ჯგუფს ჩვენც შევუერთდით. ისინი მომავალი მაღალკვალიფიციური მშენებლები — კალატოზები, დურგლები, მღებავები, ჩვენი მუშათა კლასის შემცვლელები, თბილისის მე-18 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები იყვნენ.

— ჩვენს მოსწავლეებს ერთი უბადრუკი სპორტდარბაზისა და მოედნის მეტი სავარჯიშო ადგილი არა აქვთ, — გვეუბნება სასწავლებლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ო. გერაძე. — მიუხედავად ამისა, ფიზკულტურასა და სპორტში წარმატებები გვაქვს მოპოვებული. მაგალითად, შარშან ჩვენმა აღსაზრდელებმა პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში V ადგილი მოიპოვეს, კალათბურთსა და სატრეკო ველორბოლაში კი III ადგილები დაიკავეს. ჩვენთვის წლევანდელ საქალაქო სპარტაკიადასაც კარგი პირი უჩანს. კლასიკოსმა მოჭიდავეებმა და მოჭადრაკეებმა III ადგილები დაიკავეს, ხოლო ფრენბურთელებმა — II. ბევრი ჩვენი მოსწავლე სხვადასხვა დროს პროფტექნიკური სასწავლებლების საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონიც ყოფილა. ასეთ შედეგებს იმით ვაღწევთ, რომ ვცდილობთ ცენტრალურ სექციებში რაც შეიძლება მეტი მოსწავლე ჩავაბათ. იქ 120-მდე ჩვენი მოსწავლე ოსტატდება სხვადასხვა სახეობაში.

საუბარში ისე გავერთეთ, რომ ვერც კი შევამჩნიეთ, როდის შევედით პარტიზანთა სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. ირგვლივ დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა, ზოგი მშდ კომპლექსის ნორმატივებს აბარებდა, ზოგი თევზაობდა, ანკესის ტივტივას მოთმინებით დაჰყურებდა.

მალე პარკში ავტობუსი ამოგრიალდა და იქიდან სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ჭაბუკები გადმოვიდნენ.

— ესენი თბილისის რკინიგზის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან. მათსა და ჩვენს შორის შარშან გაიბა მეგობრობის ძაფი. სკოლამ ჩვენი სასწავლებლის შეფობა იკისრა და აი, ახლა, ერთმანეთს უნდა შევხვდეთ სპორტულ ზეიმზე. ამ ღონისძიებას დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს ვუძღვნით, — გვითხრა გერაძემ.

ახლა ორიოდე სიტყვით თბილისის რკინიგზის 1-ლ საშუალო სკოლის სპორტულ მიღწევებსაც გაგაცნობთ. მათ მართლაც შესაშური ტრადიციები აქვთ. აქ აღიზარდნენ ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიც თავის დროზე იყვნენ პ. მშვენიერაძე, რ. ჩაჩავა, ჯ. ცერცვაძე... მათს სანაქებო ტრადიციებს ღირსეულად განაგრძობენ დღევანდელი მოსწავლეები — კალათბურთელი თ. ბახტაძე, მოჭიდავე გ. მაჭავარიანი, ჩოგბურთელი გ. ზამბახიძე, ფეხბურთელი გ. მებუკე, წყალბურთელი ძმები დ. და ზ. ივანიშვილები... ისინი მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრების წევრები არიან.

ამ სკოლის აღსაზრდელებმა შარშან ამიერკავკასიის რკინიგზის საშუალო სკოლის წარმომადგენელთა შორის ყველას აჯობეს კალათბურთელთა, ტანმოვარჯიშეთა და მოჭადრაკეთა შეჯიბრებებში.

... პროფტექნიკური სასწავლებლისა და სკოლის მოსწავლეები ერთად გამოვიდნენ საზეიმო აღლუმზე, რომელიც პარტიზანთა სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მოედანზე ჩატარდა. მოსწავლეებს სამამულო ომის მონაწილე, პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი ვ. მეხუზლა მიესალმა. შემდეგ კი დაიწყო მეგობართა შეჯიბრება.

ახლა კი ამ ასპარეზობის შესახებ ფოტოობიექტივი გვიამბობს. პირველ ორ სურათზე მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მომენტებს ვხედავთ. მესამე სურათზე აღბეჭდილია რკინიგზის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე, სსრ კავშირის მოზარდ ჩოგბურთელთა ნაკრების წევრი, საკავშირო კონკურსებში სამგზის გამარჯვებული გ. ზამბახიძე (შუაში) თავის ახალშეძენილ მეგობრებთან, პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებთან მ. ხვედელიძესთან (მარცხნივ) და მ. კოპაძესთან ერთად. იმ დღეს ნორჩმა ჩოგბურთელმა მეგობრებს ბევრი საინტერესო ეპიზოდი უამბო თავისი სპორტული ცხოვრებიდან.

ა. მუყიშელი.
ავტორის ფოტოები.

ლონდონის „არსენალის“ კაპიტან ალან ბოლის გვარი „ტრანსფერ ლისტშია“ შეტანილი. ეს ცნობა ალბათ ბევრს გააკვირვებს — ბოლი ხომ ახლა ბრწყინვალე ფორმაშია და ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა დონ რივიმ თვენახევრის წინათ იგი კვლავ ჩააყენა ინგლისის ნაკრების სათავეში. მაგრამ საქმე ისაა, რომ ბოლი თავისი თხოვნით შეიტანეს გასაყიდ მოთამაშეთა სიაში.

ეს 30 წლის ფეხბურთელი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონის წოდებაც აქვს მოპოვებული, „არსენალმა“ 1971 წლის დეკემბერში 200 ათას გირვანქა სტერლინგად იყიდა ლივერპულის „ევერტონისგან“.

• • •

სურათზე: ა. ბოლი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ძველი თამაშის ახალი ცხოვრება

მოსკოვის გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ბილიარდის დარბაზში ყოველდღე ხალხმრავლობაა. ცამეტ დიდ და ორ პატარა მაგიდაზე ერთდროულად 30 კაცი თამაშობს. მთელი დღის მანძილზე კი აქ 150-მდე კაცს შეუძლია ძალა მოსინჯოს.

— მოთამაშეთა შემადგენლობა მრავალფეროვანია, — ამბობს დარბაზის ინსტრუქტორი გ. მიტასოვი. — აქ მოდიან სტუდენტები, ახალგაზრდა მუშები და მოსამსახურეები, მოდიან სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ტურისტებიც. ასეთი ინტერესი შემთხვევითი როდია. ჯერ ერთი, ეს თამაში ნერვებს ასვენებს, დაღლილობას აქარწყლებს. მეორეც, რაოდენ უცნაურად უნდა მოგვეჩვენოს, იგი კარგი ფიზიკური ვარჯიშია — ერთი პარტიის განმავლობაში მოთამაშენი მაგიდის ირგვლივ, რომ გადავიანგარიშოთ, თითქმის ოთხ კილომეტრს ფარავენ.

ახლა გადავხედოთ ისტორიას. ბილიარდის სამშობლოდ ძველი ჩინეთი ითვლება. შექსპირმა „ანტონიუს და კლეოპატრაში“ ბილიარდი ეგვიპტელ კლეოპატრას ათამაშა. ეს თამაში ევროპაში პირველად XVI საუკუნეშია მოხსენიებული. პეტრე პირველის დროს ბილიარდი რუსეთშიც შემოიტანეს და აქ მან დიდი პოპულარობა მოიპოვა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბილიარდი სპორტის სახეობებს გაუთანაბრეს და ოფიციალური საკავშირო პირველობებიც კი ტარდებოდა. სსრ კავშირის ჩემპიონები ნ. ბერეზინი და ა. მილიაევი სპორტის ოსტატები იყვნენ. ბილიარდით გატაცებული იყვნენ ვ. მაიაკოვსკი, კ. ვოროშილოვი, ს. ბუდიონი. საწვრთნელ გაფრენათა წინ თავისუფალი დროის ბილიარდის მაგიდასთან გატარება უყვარდა ი. გაგარინს.

— ჩვენს ქვეყანაში ბილიარდი დღესაც ძალიან პოპულარულია,— ამბობს გ. მიტასოვი. — ასობით სექციაა შექმნილი კულტურის სასახლეებსა და კლუბებში. ეს თამაში უყვართ ქალაქების კულტურის პარკებში, დასვენების სახლებში, სანატორიუმებში, დიდ საწარმოებში მუშები და მოსამსახურეები ბილიარდს წითელ კუთხეებში თამაშობენ შესვენების დროს.

ბილიარდში საკავშირო პირველობებიც ტარდება, თუმცა არაოფიციალური. ბოლო ასეთ შეჯიბრებაში 1974 წელს მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, ტაშკენტის, დნეპროპეტროვსკის, დონის როსტოვისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები. გაიმარჯვა გ. მიტასოვმა.

მე და გიორგი მიტასოვი ბილიარდის დარბაზის გვერდით, მის პატარა კაბინეტში ვსაუბრობთ. ინსტრუქტორმა წერილების რამდენიმე შეკვრა მიჩვენა.

— ეს წერილები ბილიარდის მოყვარულთა გამოგზავნილია, — ამბობს იგი, — ყველა ასაკის ასობით ადამიანს სურს ბილიარდში ვარჯიში. მაგრამ ამ თამაშის განვითარებას, რომელიც ტაქტიკური თვალსაზრისით ჭადრაკს შეიძლება გაუთანაბრდეს, ფიზიკური თვალსაზრისით კი სროლას და რუსულ რიკაობას, ჯერჯერობით სიძნელეები ხვდება. მრეწველობა ჯერ კიდევ უხარისხო მაგიდებსა და ბილიარდის ჯოხებს უშვებს.

და მაინც, უნდა ითქვას, რომ ბილიარდი ახალ ცხოვრებას იწყებს. იგი სულ უფრო პოპულარული ხდება მოსახლეობის ფართო ფენებში.

ვ. კულიკოვი.
(საკდესის კორ.).
მოსკოვი.

შ. სუხიშვილი

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 71 წლის ასაკში გარდაიცვალა სამოტოციკლო სპორტის ვეტერანი, ამ სახეობაში პირველ საკავშირო შეჯიბრებათა მონაწილე, მოტოსპორტის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჩვენს რესპუბლიკაში შალვა ილიას ძე სუხიშვილი.

შალვა სუხიშვილმა თავისი ცხოვრების 40 წელი სამოტოციკლო სპორტის განვითარებას მიუძღვნა. მას ამ სახეობაში ბევრჯერ მოუპოვებია საქართველოს ჩემპიონობა. გარდა ამისა, მას ეკუთვნის ბევრი საინტერესო კონსტრუქტორული გადაწყვეტა ძრავის სიმძლავრის საკითხში.

სპორტის სამხედრო-გამოყენებითი სახეობების დიდი პატრიოტი, საქმის ერთგული, გულისხმიერი ადამიანი და კარგი მოქალაქე—ასეთი დარჩება შალვა სუხიშვილი მისი ამხანაგებისა და ახლობლების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ ავტო-მოტოსპორტის ფედერაცია.

ცისფერი მაისურები— სსრ კავშირის ნაკრებს

მაგდებურგი, 9 მაისი. დღეს აქ დამთავრდა მშვიდობის XXVIII ველორბოლის პირველი ეტაპი. ბერლინიდან მაგდებურგამდე 167 კილომეტრი ყველაზე სწრაფად დაფარა გდრ-ის ნაკრების წევრმა ჰ.-ი. ჰარტნიკმა — 3:46.32.

საბჭოთა ველოსიპედისტთაგან საუკეთესო იყო ტარტუელი ა. პიკუუსი, რომელმაც V ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ნაკრებმა ყველას აჯობა და ხვალ მოწინავე ექვსეულის ლიდერთა ცისფერ მაისურებში გამოწყობილი აიღებს მეორე ეტაპის სტარტს.

ადგილობრივ სტადიონზე სპორტსმენებს მიესალმა წინა წლების მშვიდობის ველორბოლების გმირი გ.-ა. შური, რომელმაც ამჯერად საასპარეზოდ მოამზადა პირველი ეტაპის ტრასა.

პირველ შესარჩევ ჯგუფში

დღეს, 11 მაისს, კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში გაიმართება ევროპის ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფის წევრების — მასპინძელთა ნაკრებისა და ინგლისის ეროვნული გუნდის შეხვედრა. ამ ჯგუფში ისეთი მდგომარეობაა, რომ პირველობის ბედი, შესაძლოა, ბურთების შეფარდების მიხედვით გადაწყდეს. ამიტომ ინგლისელები ყოველ ღონეს იხმარენ, რომ არა მარტო გაიმარჯვონ, არამედ დიდი ანგარიშითაც მოიგონ. ნაკრების მწვრთნელმა დონ რივიმ დაასახელა ის 22 ფეხბურთელი, რომლებიც კვიპროსში ითამაშებენ. აღსანიშნავია, რომ რივიმ გუნდში კვლავ დააბრუნა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალისტის „ლიდს იუნაიტედის“ თავდამსხმელი ალან კლარკი.

აი, ეს გუნდიც: კლემენსი („ლივერპული“), შილტონი („სტოკ სიტი“), მეიდლი („ლიდს იუნაიტედი“), უოტუორთი („ლესტერ სიტი“), გილარდი („ქუინზ პარკ რეინჯერსი“), ჰიუზი („ლივერპული“), კენიონი („ევერტონი“), უოთსონი („სანდერლენდი“), ტოდი („დერბი ქაუნთი“), ბითი („იფსვიჩ თაუნი“), ფრენსისი („ქუინზ პარკ რეინჯერსი“), ბელი („მანჩესტერ სიტი“), ჰადსონი („სტოკ სიტი“), ბოლი („არსენალი“), ტაუერზი („სანდერლენდი“), ჯონსონი („იფსვიჩ თაუნი“), ჩენონი („საუთჰემპტონი“), მაკდონალდი („ნიუკასლ იუნაიტედი“), თომასი („ქუინზ პარკ რეინჯერსი“), კიგანი („ლივერპული“), ტიუერტი („მანჩესტერ სიტი“), კლარკი („ლიდს იუნაიტედი“).

ნაკრების კაპიტანია ალან ბოლი.

(საქ. ინფ.).

19 45

◆ **ნიუ იორკი, 10 მაისი.** ფლორიდის შტატის მძლეოსანთა ჩემპიონატში ამერიკელმა ზანგმა სტუდენტმა, 18 წლის ჰიუსტონ მაკტირმა 100 იარდზე წინასწარ გარბენში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — 9 წამი. ასეთივე დროში ეს მანძილი შარშან მეორე ამერიკელმა აივორი კროკეტმა გაირბინა.

◆ **როჩესტერი, 10 მაისი.** კიევის იუნიორმა კალათბურთელებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში კიდევ ერთი მატჩი მოიგეს — აქ ანგარიშით 91:80 (41:39) დაამარცხეს ხუთი შტატის ნაკრები. მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი ხვდა ვ. უვაროვს, რომელმაც თავის გუნდს 22 ქულა შესძინა.

რატომ ტოვებს სპორტს ჩემპიონი?

ავსტრიელმა სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულებმა ეს ამასწინანდელი საგაზეთო ცნობა საგაზაფხულო ხუმრობად მიიღეს და არც უნდოდათ დაეჯერებინათ. მართლაც, განა შეიძლება დაიჯერო ჟურნალისტების ნათქვამი, რომ ანემარი მოზერ-პროლმა, რომელმაც ხუთჯერ ზედიზედ მოიგო მსოფლიო თასი, სულ კი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, 42 თუ 43 შეჯიბრებაში გაიმარჯვა, სამუდამოდ გადაწყვიტა სპორტიდან წასვლა? მით უმეტეს ახლა, როცა მსოფლიო თასის წლევანდელ გათამაშებაში, რომელიც მისთვის რიგით მერვეა, მოზერ-პროლმა საუკეთესო ფორმას მიაღწია და ტურნირის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე მეხუთედ მოიპოვა ბროლის პრიზი, ამასთან, თვით უახლოესი მეტოქეც კი მთელი 100 ქულით ჩამოიტოვა.

და მაინც... თვით ანემარის სიტყვით, მას სურდა ჯერ კიდევ წლევანდელი სეზონის დაწყებამდე დაეტოვებინა სპორტი, მაგრამ ქმარმა შეაცვლევინა გადაწყვეტილება. „ახლა კი მორჩა, ვეღარავინ დამიყოლიებს, — განუცხადა სპორტსმენმა ქალმა გაზეთის კორესპონდენტს, — მე გადავწყვიტე ბოლოს და ბოლოს ნორმალური ცხოვრებით ვიცხოვრო“.

მაშ ასე, ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ მოზერ-პროლი მართლა ძალიან დაიღალა, ეგ არის და ეგ. რა გვეთქმის, სავსებით სარწმუნო ვერსიაა. ანემარი უკვე მთელი შვიდი წელია გამოდის სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში. ავსტრია, შვეიცარია, საფრანგეთი, იტალია... სამთო-სათხილამურო სპორტში საერთაშორისო შეჯიბრებათა მონაწილენი ერთი ქვეყნიდან მეორეში მოგზაურობენ და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ქულა მოაგროვონ სპეციალური სლალომის, გიგანტური სლალომის, სწრაფდაშვების ტრასებზე. სწორედ ქულათა უდიდეს ჯამს მოაქვს საბოლოო გამარჯვება მსოფლიო თასის მარათონულ გათამაშებაში.

ანემარი პროლმა საერთაშორისო ტურნირში სტარტი პირველად 1968 წელს აიღო, როცა... 14 წლისა იყო. დიახ, ახლა სამთო-სათხილამურო სპორტშიც ადრეული სპეციალიზაციაა... თუმცა, გოგონას დებიუტი უიღბლო აღმოჩნდა. ანემარი ორჯერ დავარდა სწრაფდაშვების ტრასაზე და შედეგად ბოლო ადგილი ხვდა.

1970 წელს პროლმა უკვე მსოფლიოს რამდენიმე საუკეთესო სლალომისტი ქალი ჩამოიტოვა და თასის გათამაშებაში VII ადგილი დაიკავა.

ეს იყო გარდატეხის მომენტი მის სპორტულ ბიოგრაფიაში. „სწორედ იმ წელიწადს, — თქვა ანემარიმ, — ბოლოს და ბოლოს ვიწამე საკუთარი ძალა. ორ სეზონს შორის განვლილ პერიოდში დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩავატარე. სწრაფდაშვებაშიც კი უკვე რიგიანად გამოვდიოდი, მაგრამ, გულახდილად რომ გითხრათ, ეს სახეობა სხვებზე ნაკლებად მომწონდა. ყველაზე მეტად სლალომი მიყვარს. იგი ძალიან ჰგავს თამაშს, მე კი ბუნებით მხიარული ადამიანი ვარ და ყოველგვარი თამაში მიყვარს. ამიტომ სლალომს ვამჯობინებ... ერთი სიტყვით, იმ წელიწადს თავი დავირწმუნე, რომ მსოფლიო თასის მოგება შემეძლო. გარდა ამისა, როგორც ვთქვი, შეუპოვრად, მონდომებით ვვარჯიშობდი. ყოველივე ამან მომიტანა გამარჯვება“.

1971 წლის წარმატებებს მოჰყვა გამარჯვებები 1972-75 წლებში. ასეთი შედეგებისთვის მანამდე სხვას არავის მიუღწევია.

ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ანემარი პროლი ეცდებოდა თავისი ტრიუმფული გზა სპორტში ოლიმპიური ოქროს მედლით დაეგვირგვინებინა. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ამჯერად თეთრი ოლიმპიადა პროლის სამშობლოში, ინსბრუკში (ავსტრია) ტარდება. და აი, გამოქვეყნდა სენსაციური განცხადება, რომ სახელგანთქმული სამთო-სათხილამურე საერთოდ ტოვებს სპორტს...

მართლა დაიღალა ანემარი, თუ კიდევ რაიმე მიზეზი აქვს მის გადაწყვეტილებას? ვფიქრობთ, აქვს. ჯერ ერთი, სავსებით ადვილი შესაძლებელია, რომ პროლი არც ისე მტკიცედაა დარწმუნებული ოლიმპიურ სარბიელზე გამარჯვებაში. საქმე ისაა, რომ ანემარი უკვე გამოვიდა ზამთრის თამაშებში — საპოროში და ვერცხლის მედალს დასჯერდა, თუმცა მაშინაც ფიქრობდნენ, ავსტრიელი მოთხილამურე საუკეთესო სპორტულ ფორმაშიაო. ესე იგი, იქნებ „ოლიმპიური შიშია“ ყველაფრის მიზეზი?

ჩვენი აზრით, მიზეზი სხვაა. ამაში პროლის მეუღლის სიტყვები გვარწმუნებს. იგი ამბობს: „პროლის სახელი კარგი გარანტიაა იმისა, რომ სამოყვარულო სპორტიდან წასვლის შემდეგ ანემარის რეკლამის გზით შეუძლია ფული მოხვეტოს“. დიახ, როგორც ჩანს, ანემარის სურს სპორტი დატოვოს არა საერთოდ, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, ნაწილობრივ. პროლს სურს სპორტის ერთი სფეროდან — აქტიურიდან — გადავიდეს მეორეში — კომერციულში. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მას სურს სამოყვარულო სპორტში მოპოვებული დიდება ფულადი მოგებისთვის გამოიყენოს. რა გვეთქმის, კაპიტალის ქვეყნებში ასეთი მაგალითები იშვიათი არ არის.

სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ასეთი შესანიშნავი სპორტსმენი ნამდვილ სპორტს ტოვებს ოქროს კერპის სიყვარულით. გასაგებია ვენის „კრონენ ცაიტუნგის“ გულისტკივილი, როცა ის წერს: „თვით უახლოესი მეგობრებიც კი დარწმუნებული იყვნენ, რომ ანემარის სურდა თავისი უმაგალითო კარიერა ინსბრუკის ოლიმპიური ოქროს მედლით დაეგვირგვინებინა. ახლა კი იგი, ყველა დროის ყველაზე იღბლიანი მოთხილამურე, თვითონ ამბობს უარს უმაღლესი ოლიმპიური ჯილდოს მოპოვების შესაძლებლობაზე“.

თუმცა, ვინ იცის, იქნებ ანემარიმ გადაწყვეტილება კიდევ შეცვალოს?

ვენა.

მოიგო ხუთი ეტაპი!

ესპანეთის გზებზე მიმდინარეობს პროფესიონალთა მრავალდღიანი ველორბოლა. „ესპანეთის ტურში“ სხვადასხვა მიზეზით არ მონაწილეობს მსოფლიოს რამდენიმე მოწინავე სპორტსმენი (მათ შორის, ბელგიელი ე. მერქსი), მაგრამ შემადგენლობა მაინც საკმაოდ ძლიერია.

9 ეტაპის შემდეგ რბოლას ლიდერობდა მასპინძელი მიგელ-მარია ლასა — 39:17.57. II ადგილზე იყო პორტუგალიელი მარტინსი — 39:18.39, III — ტორესი (ესპანეთი) — 39:18.47. ცნობილი ესპანელი მრბოლელი ლუის ოკანა IV ადგილზე იყო — 39:18.49.

X ეტაპი (173 კმ) მოიგო იტალიელმა მარინო ბასომ — 4:39.50. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ვილფრიდ ვეზემაელი (ბელგია), ჟან-ჟაკ ფუსიენი (საფრანგეთი) და ლიუკ ლემანი (ბელგია).

უნდა აღინიშნოს, რომ ბასომ უკვე ხუთი (!) ეტაპი მოიგო, რითაც სპეციალისტებიც გააოცა და გულშემატკივრებიც. მიუხედავად ამისა, ლიდერობა ლასამ შეინარჩუნა.

(საქ. ინფ.).

გარდაიცვალა ევერი ბრენდეჯი

გარმიშ-პარტენკირხენი (გფრ), 9 მაისი. აქ 88 წლის ასაკში გარდაიცვალა ევერი ბრენდეჯი — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი (1952-72 წლებში).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02691